ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი





№ 13



წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობა.

265

შემდეგი, განსაკუთრებით საახალწლო, ნომერი გამოვა 1 იანვარს.

## კრება.

(წერა-კითხვის საზოგადოებისა)

ძმანო მართლ-მადიდებელნო ეშმაკნო! ეს ორი კვირა იქნება პროვინციისაკენ ფეხი არ გადმომიდგამს ჩვენი სატახტო ქალაქი თფილისიდან.

— რისთვისო? იკითხავთ.

იმიტომ, ამხანაგებო, რომ მინდოდა საკუთარი თვალებით მენახა ის დიდებული დაწესებულება, რომელსაც „**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება**" ეწოდება და რომელსაც აგერ მეოთხედი საუკუნეა ნანას ეუბნებიან ჩვენი ფედერალისტები.

სიმართლე მოგახსენოთ მაინცა-და-მაინც დიდს არაფერს მოველოდი, მაგრამ ასეთი სანახაობა ვერ წარმომედგინა. თუ გულზე სხვა დარდი არ გაწევს კაცს, უკეთეს გასართობს ვერც მონახავ. რა შედარებაა ქართულ წარმოდგენასთან!

იმედ გაცრუებული „ადგილობრივი" სოციალისტები ამას იმით ხსნიან, რომ საქართველო გადაშენების გზაზე დგასო, ხოლო საზოგადოების გამგეობის შესახებ არავითა რი ეჭვი არ ებადებათ.

„წერა კითხვის" საზოგადოება შესდგება 5 ხარისხის წევრთაგან,—რომელთაგან 1907 წლის პირველ იანვარს ყოფილა:

1) საპატიო წევრი — — — — 10
2) დამფუძნებელი (300 მანეთიანი) 9
3) „ (20 მანეთიანი) 50
4) ნამდვილი (100 მანეთიანი) 15
5) „ (6 მანეთიანი)—1369.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ამ წევრთაგან შემოსულა წლის განმავლობაში 179900 კაპ. საწევრო გადასახადი. კაპეიკობით იმიტომ ვანგარიშობ, რომ თვალს ეამოს დიდი რიცხვი, თორემ რა ფულია ეს? თუმნებათ რომ დავახურდავოთ სულ 179 თუმანი გამოვა, ხოლო დამერწმუნებით 179 თუმანს თითოეული პროვინციელი ბოქაული თითო თვეში იშოვის „გამოსარჩენს‘‘.

თავისი პირდაპირი საქმე საზოგადოებას საუცხოვოთ უწარმოებია. როცა დახედავ ანგარიშს, მაშინვე ეცემა შენს თვალს ნამდვილი ქართული ბარაქიანობა. საზოგადოებას აქვს სულ რ-რ-რ-რვა სკოლა, რომელთაგან ორს ქუთაისის ბანკი ინახავს, ხოლო დანარჩენი **ექვსი** სკოლიდან **ოთხი** დღეს უკვე დახურულია.

ამ სკოლებში ასწავლის 11 ცოლიანი, 9 უცოლო და 3 გასათხოვარი მასწავლებელი.

საზოგადოებას აქვს აგრეთვე რამდენიმე **დახურული** სამკითხველოც. საერთო რიცხვი წევრებისა, ანგარიშის მიხედვით 1453 უდრის, რომელთაგან **ვარსკვლავი** უზის დაახლოვებით 200. ასე რომ დანარჩენი 1253 წევრი, როგორც არა გადამხდელი, წესდების ძალით უნდა გამოირიცხოს.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ წევრთა შორის მრავალია **აწ განსვენებული**.

პირველი კრება ჩვეულებისამებრ არ შესდგა, რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა და ამიტომ პირველი მოქმედი კრება 9 დეკემბერისა იყო. გამოცხადდა დაახლოებით 25 წევრი.

როგორ მოგწონთ, ყმაწვილებო! საზოგადოებას 1453 წევრი ყავს აღბეჭდილი ანგარიშში და საქმეს კი თითქმის მარტო „ისარის“ რედაქცია წყვეტს. ჰაი გიდი დროებავ?!!

,,ადგილობრივი‘‘ სოციალისტები სულ იმას გაიძახოდენ, ,წერა-კითხვის‘‘ საზოგადოება კულტურული დაწესებულებაა და აქ პარტიული ანგარიშები უნდა დავსტოვოთო. დიახ, ამას გაიძახოდენ, მაგრამ აბა სად გეგონილა ,,თივაში ცეცხლი დამალულიყოს‘‘?

გახსნა კრება ბ-ნმა თავმჯდომარემ და დაიწყო ლაპარაკი. სულ მოკლე ხანში ყველაფერი დამტკიცებულ-მიღებული გამოდგა, თუმცა თავმჯდომარისა და მდივნის მეტს არც განუხილავს, არც მიუღია. მოითხოვეს რასაკვირველია მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის ვანხილვა და დიდის წვალებით აიღეს მდივანისაგან ამის ნება.

ჯერ აქაც გვარიანათ მიდიოდა საქმე, მაგრამ ერთმა მოვლენამ უცებ გამოიწვია მთელი ქარიშხალი.

საზოგადოებას ჩვეულებათ ჰქონია **ძველი** წიგნებისა და ხელნაწერების შეძენა. საზ. წევრმა ფ. მახარაძემ ამაზე განაცხადა, რომ ეს არ არის ,,წერა-კითხვის‘‘ საზოგადოების საქმე, ისა სჯობია ეს ფული საზოგადოების ნამდვილ საქმეს მოვახმაროთ და ძველი ხელნაწერები არქეოლოგიურმა ან სხვა საზოგადოებამ აგროვოსო‘‘.

უბრალო ადამიანი აქ ვერაფერ ცოდვას ნახავს, მაგრამ ისეთი ურა ფედერალისტი, როგორიც ბ-ნი პეტრე სურგულაძეა, როგორ ვერ მიხვდებოდა სიტყვის ,,დაფარულ‘‘ აზრს?!!

სწრაფათ გადაყლაპა ნერწყვი და ითხოვა სიტყვა. ან კი თხოვნა რათ უნდოდა, სულყველა თავის ნებისა და სურვილისამებრ ბაასობდა.

თქვენ მოგეხსენებათ, მეგობრებო, თუ როგორ არის გაჟღენთილი ჩვენი ატმოსფერა ,,ძველისა‘‘ და ,,ახალი‘‘ სუნით. საკმარისია რომელიმე ურა ფედერალისტთან დაიწუნო რაიმე ,,ძველი‘‘, თუნდა ძველი ქალამანი, რომ მყის წარსულის ღალატი შეგწამონ.

პეტრეს მჭექარე ხმა კარგახანს გაისმოდა ბანკის დარბაზში. ის თავ-გამოდებით ამტკიცებდა ,,ძველის მოღალატე‘‘ პუბლიცისტთა საქციელის უბადრუკობას და საზოგადოებას აკისრებდა ,,წერა-კითხვის‘‘ გავრცელების მაგივრათ ბუკინისტათ გახდომას. გაათავა სიტყვა და გაისმა ტაში! პეტრე ბედნიერია!!

მარტო პეტრეზე არ მოგახსენებთ ამას, მაგრამ ქარაფშუტა ადამიანს მაშინვე შეეტყობა.

პეტრესაც დიდხანს არ შერჩენია სულის ბედნიერი განწყობილება და (თუ ეს უკანასკნელი შეურაცხყოფათ არ მიიჩნევს) მისმა თანამოაზრე გრ. რცხილაძემ ერთი სულის შებერვით დაუფუშა მისი ბავშვური აბდა უბდა ხუხულა. ამ კრებაზე ისეთი კარგი სიტყვა არ თქმულა, როგორც რცხილაძის სიტყვა.

ორიოდ წუთის წინეთ ამაყი და ტაშით ფრთა შესხმული პეტრე, უცებ მოდუნდა, აიმრიზა, კედელს აეწება და სახეზე დალრეჯილობა დაეტყო. რცხილაძეს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და ასე განურჩევლად რწმენისა თითო მუჯლუგუნი ყველამ წაჰკრა სათავად აზნაურო სკოლის მეტიჩარა პესტალოცს.

როგორც ნაკითხი კაცები ამბობენ, ანტ. ჩეხოვს აწერილი აქვს იმ ლეკვის მდგომარეობა, რომელმაც ოთახი დასვარა და რომელსაც ავი ზნის გადასაჩვევად სამჯერ დააკვრიეს ცხვირი იმ ალაგასო. თუ არ ვსცდები დაახლოვებით ასეთივე იყო პეტრე სურგულაძის მდგომარეობა რცხილაძისა, თაყაიშვილისა და სხვა მის თანამოაზრეთა სიტყვების შემდეგ.

შემდეგი მსვლელობა კრებისა არაფერი საინტერესოა; კამათი მოდუნდა და მალე კრებაც გადაიდო 16 დეკემბრისათვის, რომლის შესახებაც შემდეგ ნომერში.

ეშმაკი.



## ლომი და არწივი

(არაკი).

ლომი დაბმული ჯაჭვათა
თავისუფლებას ნატრობდა,
თან ქვითინებდა, მდუღარე
ცრემლებით მიწას ალბობდა.

მოთქვამდა: ,რა რომ მტარვალის
ხელში ჩავარდი, მერეო,
სულ მუდამ წვალებაში ვარ,
ვერარას ვავხდი ჯერეო.

ოხ, რა მწარეა სიცოცხლე
სხვის ხელში, მონობაშიო:
სული სწუხს, გული ქვითინებს,
ცრემლი არ შრება თვალშიო!“..

ასე მოთქვამდა, ტიროდა,
ის არ იცოდა კარგათა,
რომ ცრემლი არას არგებდა,
გულს ადუღებულს დარდათა.

მაგრამ მას, ერთ დღეს, არწივმა
სიმღერით გადაუარა
და რასაც თითონ ფიქრობდა
ის, ლომსაც გაუზიარა:

„თავის ხსნისათვის, იცოდე,
უვარგისია ცრემლიო,
მისთვის ბრძოლაა საჭირო,
როგორც მჭედლისთვის გრდემლიო!“

ეს რა მოესმა ლომს, მყისვე
ცეცხლებრ აენთო, გავარდა,
ჯაჭვს გაარა მედგრათ, გაგლიჯა,
მინდორში გაინავარდა.

თქვა: „იურმა ბარტა ბრძოლაა
თავისუფლების წყაროო,
შეგხვება — სახელმძღვანელო,
რომ ძალა მოიხმაროო!“

ვ. ჩახრუხაძე.

### ქრისტესმსახურთა კრება და ქრისტიანული დადგენილება.

12 დეკემბერს დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს მღვდლების კრება. კრება მოიწვია ერთ დროს ხუცების მიერ დაწუნებულმა ეგზარხმა. კრებას, გარდა „ნაკურთხი“ თავებისა, არავინ დასწრებია.

შარშანწინდელი ავტოკეფალისტები შეუდგენ ბჭობას ცხვრის და თხის თავ-ფეხის განაწილების შესახებ. მღვდელმა წაიღოს თუ მედავითნემ, ტყავი მნათემ მოუტანოს მღვდელს სახლში თუ თვით ოჯახის პატრონმა. დუშეთის სულიერ მოძღვარს შეუდგენია უკვე სტატისტიკური ცნობა თუ რამდენი უმანკო ცხვარი დაიკვლის მის სამრევლოში. 600 ცხვრის ტყავი... ხუმრობა არ გეგონოთ დაასკვნა ღვთის კაცმა. იმსჯელეს იმაზეც, დიაკვნებს როგორ გავაძროთ ტყავიო, გადასწყვიტეს გაიცხოს ის მღვდელი, რომელიც დიაკვანს შემოსავლის მესამედს აძლევდა მეოთხედის ნაცვლად და ამიერიდან მიეცეს მეოთხედი, თავფეხი კი საკუთრად მღვდლებს არგუნეს, მაგრამ არ ვიცით როგორ დაშვენდება „მგლებს“ ცხვრის თავები... და თხის რქები. ბევრი ითათბირეს ავტოკეფალისტებმა, ბევრი იმსჯელეს მაგრამ „უდუმოთ“ მაინც ვერაფერი გააწყვეს, ბოლოს გადასწყვიტეს ეს ცხვრის დუმა ხომ გვაქვს გვაქვს, სახელმწიფო დუმაშიც ეპისკოპოზი ევლოღი გვყავს, მეტი რაღა გვჭირია, ადგენ და მიართვეს ევლოგის დეპეშა „,გიშველე თქვენო მაღალ მეუფებავ, ამოგვაგდო განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ, მუხლმოდრეკილი გევედრებით აღგვიდგინო შელახული პრესტიჟი, სავალდებულო გახადეთ მრევლმა ყოველწლივ თითო ცხვარი მაინც შესწიროს ხატს, რომლზე 2 კოდი სულადი გვაძლიოს, ორსართულიანი სასახლე აგვიშენოს, ათი დღიური ზვარი ვენახით გაგვიშენოს, მუშა და ფიჩხი რამდენიც დაგვჭირდება უფასოთ მოგვიტანონ, რომლზე თითო მუშა უსასყიდლოთ მოგვეშველოს (თავისი პურით), თუ ამას არ ინებებთ მაშინ მოგვეცეს პირდაპირ ხაზინიდან მღვდლებს თითოს 1200 მანეთი (დიაკვნებს 60 მან.) ეს ფულები მოიკრიბას როგორც სახელმწიფო გადასახადი ეგზეკუციის და ჩაფრების შემწეობით, ჩვენ კი მრევლს ამის შემდეგ უფასოთ დავმარხავთო''.

,,ვაი თქვენდა...''!!!!?

**მათე.**

# გურული სცენა.

**ძველი დრო.**

ხუცის შვილი გახლავარ, არჩივის ნათრაქავი, მარცხენა ფხარი ჩავარდნილი მაქ. ბევრი კაი მაძღარი დროი მახსოვს. ახლა რომაა ქვეყანა მოღდულებული ისე კი არ იყო, ერთი წლის საყოფს სასირეზე დეიჭირავდი თუ გინდოდა. ყველას კაი დროი ქონდა, ყ ელაი მაძღარი იყო, მარა ყველაზე უფრო ხუცესი და ხუცასანი. აღების კვირეში რაც ჩვენ სოფელში ძაღლები იყო ჩვენს ეზოში იყო თავ-მოყრილი ცხვრის და თხის ტყავის სუნზე მევიდოდენ და შეყმუოდენ ხეს. ორპოტიკა ჯოხს სადაც დეინახავდა ბაბაი მაშინვე უნდა მიეჭრა ტყავის გასაწკიპავათ. რანაირი ქრისტიანობა იყო, რამდენნაირი საწირავი იცოდენ: სამღთო, ნაწყევარი, ნაფიცარი, გადანაცემარი, სამშვიდობო, საორმოცო, სისხლიანი, უსისხლო, რა ვიცი ენა-პირი რავა მოსთქვამს რაფერ იცოდა ძველმა ქალმა და კაცმა ღვთის და ხუცის პატივისცემა. დღეში ხანდახან ორი-სამი არჩივის დაკურთხება შეუწევდა ხუცესს. მახსოვს ერთ დღეს დავაკურთხეთ ცხვარი. არჩივი აღარ წამიღია, რადგან კიდევ მორე სალიკაი იყო დასაკურთხებელი. დავაკურთხეთ მიორეც, მივაქარჩალე შინ თავ-ფეხი, გამოვბრუნდი, მივაკითხე პირველისას არჩივს და ცხვრის თავ-ფეხს. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი ოჯახის უფრო ი ქალი უძახის მის უფროს ქალიშვილს.

— ციცავ, ციცავ, ცინცალაის შესაყარო იწა გასაკლეცელო კესარიავ, აგი შევეხვეწე, აგი შეგელმერთე მე შენ, ასე ჩაგაბარე მე სარამიტელო, მე გასაცივებელო, ამიზა ჩამოგაბარე მუჰიათ ძაღლს გაატანე მეთქი, რავქნა ახლა შენ წყეულო, სად გავაპჭყირო თვალი, ხუცის თავ-ფეხი ქარ წუუღია ძაღლს შენ მიწის სამძიმარო, შენ...

**პიტნა.**

---

### განკარგულება.

განკარგულება ბევრი გაგვიგნია მაგრამ ასეთი ჯერ ჩვენ ყურს არსმენია. როცა ოზურგეთის გუბერნია ისევ ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს მის ჩასაბარებლათ ოზურგეთში თვით ქუთაისის გენ.-გუბერნატორი იყო. მას მიგებებია ინგუშებით მომრიგებელი შუამავალი ნიკოკი თაყაიშვილი. გუბერნატორს უთქვამს; „ჩემო ძმაო ნიკოკი, შენზე ბევრი კარგი რამ გამიგონია, მაგრამ რა ვქნა, მე კანონის კაცი ვარ და კანონში კი ასე სწერია: მიროვოი პოსრედნიკი ისტრაჟნიკოთ უნდა „შვამაველობდესო“, მე სტრაჟებს ვერ გაახლებ და თუ უსტრაჟნიკოთ ვერ ,,იშვამავლებ'' ატსტავკაში მიბრძანდიო.

ასევე უთხრა თურმე გუბერნატორმა სტრაჟნიკების ურიადნიკებს: კოწიას და დიმიტრის. მართალია თქვენ დიდი ერთგული ბიჭები ხართ, მაგრამ სად გაგონილია ყმას ყმა ყოლოდესო, მე სასტრაჟნიკო სტრაჟნიკები არ მჭირია, მე მინდა თქვენ სხვას უსტრაჟნიკოთ თორემ თქვენი დასაცველი ხარჯი არ არის „სმეტაში'' შეტანილიო. აფსუს ერთგულებავ!?

**სადგისი.**

---

### კვალად ,,სპერმაკუდინი''

ამხანაგებო! როგორც თქვენი ბედნიერი თვალით ხედავთ, ეხლაც მრავალი მუშტარი გამოუჩნდა ჩემს ,,კუდინს''. ბ-ნი ახობაძე არ იქნება მადლიერი, მაგრამ უმუშტროთ არც ის დარჩება.

მაგრამ კიდევ განმეორებით გთხოვთ, გამოუძიებლათ, და ალალ-ბედზე არავის გამოუწეროთ და არც ზედმეტი მიაღებინოთ. მე ჯერ არ მაქვს კარგათ გამოცდილი თუ ვის რამდენი წვეთი დასჭირდება, მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ხელობას და წლოვანობას გარდა მრავალი სხვა მოსაზრებაც.

მე ვახდენ ორ საინტერესო ცდას:

1) **ერთს ლიტერატურულ პროვოკატორობაზე.**

2) **მეორეს ლიტერატურულ ქურდობაზე ანუ პლაგიატობაზე.**

პირველ შემთხვევაში საუცხოვო და დაუფასებელ მაგალითს წარმოადგენს ნიშადურის რედაქტორი **ვალერიან გუნია**, ხოლო მეორე შემთხვევისათვის აგრეთვე ტიპიურია ბ-ნი **ი. ევდოშვილი.**

ორივე ცდის ნაყოფს, ანუ შედეგს მოგახსენებთ შემდეგ ნომრებში და ერთი კატეგორიის უზნეოთათვის გარკვეული იქნება „სპერმაკუდინის“ დოზა.

**ეშმაკი.**

---

### საჰინისტრო ,,გოროდოვოი''

,,წვრილ ვაჭართა'' კრებაზე ერთ წევრს გაფიცულ მუშებთან შეთანხმებაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ეს რა თქმა უნდა არ მოეწონა კრების უმრავლესობას და მისი ტრიბუნიდან ჩამოგდება განიზრახეს. რაკი ორატორი თითონ არ ჩამოვიდა და ვაჭართაგანაც ხელით არავინ ჩამოაგდო, მიგზავნეს იქვე მდგომი გოროდოვოი, ეს არ მოეწონა მეორე გოროდოვოის და არ გაუშვა ამხანაგი—,,დაე ილაპარაკოს'' უთხრა მან, იქნებ გონზე მოიყვანოს სხვები, თორემ, თუ მუშები დაითხოვეს ჩვენთვის ვარესია, უსაქმო მშიერი კაცი ქუჩაში ძარცვა-გლეჯას დაიწყებს და ჩვენ გამწარების მეტი რა შეგვემატებაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



თფილისის წვრილ-ვაჭართა კრებულება.

# კრება

(თფილ. წვრილ ვაჭართა).

წვრილ-ვაჭართა კრება ვნახე
„პალერმოში“, ბაღის ყურათ.
შორი-ახლოს მიუჯექი
და ვიცინე უბედურათ.
კრებულება ამის მსგავსი
თფილისში ჯერ არ ნახულა:
რა „კუპეწი‘‘, რა ვაჭარი,
„რა იყო რომ იქ არ დგმულა‘‘.
გაფიცულთა დასათრგუნათ
მოეყარათ ერთათ თავი,
„ცალ-ცალკე და ყველა ერთად
იყვენ ტურფა სანახავი‘‘.
არც თუ სადმე გაგონილა
დისციპლინა ამის დარი,
ახლოს ვერვინ მიბედავდა
თუ არ მოდგმით „წვრილ ვაჭარი‘‘.
რეაქციის სხივი ჰკრთოდა
თვითეულის „ტანჯულ‘‘ გულსა
და ოცნებით მიბნედილნი
შეხაროდენ დროს წარსულსა.
მეც, ხის ტოტში გახლართულმა,
ჟამთა ძველთა მოსაგონათ,
მოვიდრიკე ცალი მუხლი
და ღადაე-ვყავ გასაგონათ:
—დიდებულნო „წვრილ-ვაჭარნო‘‘,
და „კუპეწნო‘‘ ქალაქისა!
უფალმა ნუ მოგვიშალოს
ხელი თქვენი ბარაქისა.
ღმერთმა ქნას, რომ ოქვენ „წვრილები‘‘
გამჩდარიყოთ მალე „მსხვილათ‘‘,
მაგრამ ეს კი დაიხსომეთ
სამოქმედო გაკვეთილათ:
წარსული დროს დაბრუნება
დიდებული არის რამე,
ნუ დაზოგავთ ენერგიას,
იმუშავეთ დღე და ღამე‘‘...
აქ უეცრად ვაჭარს ერთსა
პირზე რისხვამ გაურბინა
და ჩემ ძვალთა შესამუსრათ
ქუჩის მცველი მოავლინა
თან დაგრგვინა საზარელად:
—ღმერთო მომკალ, რა სთქვა ესო
ჩვენ „დღე და ღამ ვიმუშაოთ‘‘
მსახურები კი ისხდესო!..
არა, ძმებო, აღვადგინოთ
ჩვენი ძველი ადათიო
სამუშაო დღე დაწესდეს
„ხალხსაო‘‘ ცხრა საათიო.
ჩვენი „პადვლის‘‘ მსახურები
ჩვენ ავიყვან-გავაგდოთო,
გატეხილი „პოსუდები‘‘-ც
ანგარიშში ჩავაგდოთო.
ან კვირა და ორშაბათი
ხომ ორივე დღე არიო,
მითხარ, უქმეს მუშისათვის
რათ გააცუენს ვაჭარიო.
მუშა უნდა თავაზობით
ეპყრობოდეს ბატონებსო,
თავს უკრავდეს, როგორც აღებს
ისე მათ ქალბატონებსო.
ტვირთიც იმდენი ატაროს,
რასაც დაეძალებაო
და მაბძილი რეთიც იყოს
მას ნუ დაეზარებაო.
ისიც უნდა აეკრძალოს
დუქანში არვინ ნახოსო,
არც ეწვიოს სავაჭროში
არც გარეთ გაუძახოსო.
მასთან ერთათ უნდა მოვსპოთ
მათი „აბლაკატებიო‘‘
რომ გაგვირყვნეს მსახურები
და გაყვლიფეს საწყლებიო.
რა თქმა უნდა, გაზეთებსაც
ბოიკოტი სჭირიაო
მათთვის ჩვენი „გასაჭირი‘‘
როგორც „ღობეს ჩხირიაო‘‘.
გაათავა ორატორმა
და შეიქნა ტაშის ცემა,
მაგრამ აგი სიტკბოება
კრებამ დიდხანს ვერ იგემა.
გადმოვიღე იარაღი
და თითოჯერ გავკარ ყველას...
არც შეჰყრიან თავის დღეში
ამის მაგვარ ხათაბელას.

—კი.

## ს ი ტ ყ ვ ა,

**თქმული 6 დეკემბერს თფილ. წვრილ-ვაჭართა კრებაზე მსხვილ ჩასუქებულ ორატორისაგან.**

„მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს ხაზეინების ხელით“.

ძმებოჯან! დადგა დღე განთავისუფლებისა, დადგა დღე სანეტარო ხაზეინთა შეერთებისა და შეკავშირებისა!! გიხაროდენ მუშებო, ამიერიდან თქვენა გყავთ ერთგული მფარველი, რომელიცა ვართ ჩვენ ძვირფასი ხაზეინები, გარეშე თვალთაგან ფარულად შეკრეფილნი მუშათა საქმის მოსაგვარებლად! (მოწონების ნიშნები).

სად არიან ახლა ის აბლაკატები? რატომ აქ არსად სჩანან? დიახ, გარეშე ხაზეინისა არავინ არს მფარველი მუშისა! მართალია ხომ ძმებოჯან და აფხანაგებო! (ხმა: მართალია, მართალი). დიახ, სად არიან ის აბლაკატები! ისინი გაქრენ!!

მაშ შევუდგეთ საქმეს. ერთი უნდა გკითხოთ, ვინ უფრო მოუვლის თავის დუქანს, ხაზეინი, პატრონი თუ მუშა? ვინ იცის, რამდენი ,,პლატეჟები ‘ სად მაქვს, ვის რამდენი უნდა მივსცე დვინისა, არაყისა, პატენტისა და სხვ. რასაკვირველია ხაზეინმა. (მართალია, მართალი!) ვინ უნდა იყოს პატრონი დუქნისა თუ არა ხაზეინი? მაშ დუქანი თუ ჩვენია, ნებაც ჩვენია. მინდა დავკეტავ, მინდა გავაღებ. რა ხელი აქვთ იმ ბიჭბუჭ სოციალისტებსა? (ხმა: ჩვენია, ჩვენი). აბა მითხარით, მე უკეთ ავიყვან მუშებსა, თუ თვითონ მუშები, მათ რა ესმისთ ჩემის დუქნისა? ვა, ჩვენ დუქანში და მუშა სხვაშ დაიქირავოს? დუქანიც ჩემია მუშაცა, მინდა დავითხოვ, მინდა გავუშვებ. (ხმა: ნამდვილია). ჩვენ უნდა ვუჩვენოთ მათ სწორი გზა მორჩილებისა.

მაშ ასწიეთ სალოკი თითი, ვისაც გწამთ ჩვენი ერთობა! ასწიეთ მუშტი, ვისაც გსურთ მუშათა განთავისუფლება. (ყველასი მუშტ მოღერილნი წამოცვივიან! ზიზღი იმ წუწკებს, ვინც გაურბის ჩვენს წმინდა მიზანს და მუშებს აძლევს ბიხას და საჭმელს! წყევა და კრულვა შევუთვალოთ მათ, მოდალატეებს! ჩვენ უნდა ვიხსნათ მუშები განსაცდელისაგან. მუშათა განთავისუფლება ხაზეინების საქმეა... (დაუსრულებელი ტაშის ცემა და ოვაცია)

**დურბინდი.**



### გამოცანა.

„პოლიციის“ ერთგული ყმა,
ბნელ ხვრელებში მძრომელია,
შავი საქმის მაძებარი...
აბა მითხარ რომელია?

ქრთამებს იღებს უთვალავსა,
ფულით გაუძღომელია,
მისთვის ძმასაც კი გაყიდის...
აბამითხარ რომელია?

ხუმარა.



**რუსი ბიუროკრატი:** როგორ მოხდა, თქვენში კონსტიტუცია შემოგიღიათ.
**სპარსელი ბიუროკრატი:** ასეთი კონსტიტუცია ხომ თქვენცა გაქვთ!

### არჩევანი ბათუმში
(მიბაძვა)

ავირჩიოთ ,,კრედიტში‘‘
ჩვენ ის დირექტორათო,
რომ ფულს არ მოიპარავს,
თქვეს ეს, სადღაც ჭორათო.

—

ესეც იქ ავირჩიოთ
გვინდა ერთიც რა კიო.
ზნით ფაქიზი კაცია
და სძულს ლაპარაკიო.

—

საქალაქო სკოლაში
იყოს ეს მზრუნველათო;
ბერხიანათ ,,შრომობდა‘‘.
იგი ერთ დროს—ძველათო,
ხმოსნათაც გავიყვანოთ
აგი, უეჭველათო,
ქანქარი თუ დაგვჭირდა
მოგვიხერხებს ხელათო.

—

,,ჩლენათ‘‘ ეს გამოდგება,
წორეთ ეს .. კი... ესაო,—
მვიდას თუმანს მოგვიტანს
ის არჩევის დღესაო.
ამბობენ რომ აჯობებს
ის ძველ ივანესაო,
სოსიკო ხომ ვერ მოგვცემს
ამდენ მოსაგებსაო.

—

ლომბარდი რომ განაგოს
არ გვყავს უკეთესიო,—
ეს თავადი დავნიშნოთ
რიგია და წესიო.

მართალია, საქმე სძულს
და უზარმაცესია,
მარა ქართველი არის
და არ ყოფნის პენსია.
სისუფთავის ექიმათ
აგერ გვყავს ჩვენიანი.
ერთი არ დაემალვის,
თუ მოკვდა სენიანი;
მასთან ყველა საუბრობს
მუნჯი და ენიანი.
—უეჭველათ დავნიშნოთ
ეს ექვს ორდენიანი.

—

ქალაქის მებალობა
სწორეთ ამ კაცს ერგება
უფროსის მზეს ლოცულობს,
ჩექმის ქვეშ გაეგება.
თუ დასჭირდა მუშებს კი
ქუსლებითაც შესდგება
რათ გაკვირდით, ესენი
არ გჯერათ თქვენ, ეგება?

—

მწერლებათ ესენი სჯობს
შნოც აქვთ, სწორეთ, ამისო
ფედერალისტებია,
ფიცსა სდობენ ამისო.
მარქსისტს ველარ მივიღებთ
მათ აგვიკლონ ლამისო,
ძლივსღა აგვიტანია
ცქერა ორი-სამისო.

ბლიკვაძე.

---

### სპერმაკუდინის ზაკაზები.

გთხოვთ გვიგზავნოთ თქვენი „სპერმაკუდინი“ ნატ. ლუცკოსათვის. დიაგნოზი: მატრაკვეცა ენატანია. მართალია ქალია, მაგრამ ამ სნეულებისათვის ერთხელ ხიფათიც შეემთხვა. ახლაც ძლიერ შეპყრობილია აღნიშნული ჭირვებით. თუ ამაზე გასჭრა, მუშტარს ბევრს გიშოვნით. ადრესი: ბ-ნ ნატაშას.

**ჭინჭრაქა.**

სამწუხაროთ თქვენ არა გაქვთ მოხსენებული, რამდენი წვეთი ,,სპერმაკუდინია“ საჭირო მომრიგებელ მოსამართლისა და მისი თარჯიმანისათვის. ამისათვის გამოგზავნეთ თქვენი მიხედულებისამებრ. ადრესი: სადგურის ლანჩხუთი.

**მწყერი**

უმორჩილესად გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შვიდი საწყავი ,,კუდინი‘‘. ყველას გავასაღებთ. ამასთანავე გთხოვთ გვაცნობოთ: კარტის მოთამაშე ერასტოს და მაშოს რამდენი წვეთი დასჭირდება. ადრესი: ქალ. ოზურგეთი.

**აგია.**

ბ-ნო ეშმაკო! ნუ დაიზარებ, და დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნე სამი ბოთლი ,,სპერმაკუდინი‘‘ ერთი, აქაური დეპოს უფროსისათვის, მეორე მონტიორ გიგოსათვის და ერთიც ბილიარდზე მოთამაშე ყმაწვილებისათვის. ამასთან ერთად მათრახის კუდსაც გთხოვდი, რომ არ დაიზარებდე.

**ალქაჯი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები ეშმაკისადმი.

**ოზურგეთიდან.** ძმაო ეშმაკო! გავიგე რომ საშობაოთ ლიხაურისკენ ემზადები ეგზეკუციის მოსახდენათ და დიდი დანაშაული იქნება ოზურგეთელი ვაჭრები უნახავი დასტოვო. აქაური ,,სამება ერთარსება'' ვაჭრები დიდს განცხრომაში იმყოფებიან. განსაკუთრებით კი ესე.

რამდენი სდია ესემ „ბოიკოტს" და ბევრიც დაიჭირა, მაგრამ ნამდვილი ბოიკოტი არც—ერთი არ გამოდგა. ახლა კიდევ დააგო მახე და ვნახოთ ვინ გაებმება. თუ გინდა ცოტა გაჰკრა მას, საპარასკეოზე ადი და იქ ახალ გალებულ მაღაზიაში ნახავ. მორიდებით ნუ მოერიდები.

თუ გიორგიც იყოს იქ უთხარი:

,,წამხდარსა საქმეს რას არგებს
მერმეთლა თითზე კბენანი''
წინათვე უნდა დაგებათ
თქვენი მაცდური ენანი"-თქვა.

სილოვანსა და მეორე მის ამხანაგს ,,პობოიკოტუ'' ცოტათი გაჰკარ-გამოჰკარი. აგრეთვე ეტლების კანტორაში რომ კაცია, იმასაც შეაგონე, რომ ამდენი ლანძღვაგინება მეეტლეებსაც-კი გამოიყვანს მოთმინებიდან-თქო.

**„ბაბან"**

**პეტროვსკიდან.** ძმაო ეშმაკო! ექიმი რომ იყო ამ სიშორე მანძილზე ალბათ ხუთ თუმანს პრაგონს აილებ და ჩვენ კი სამაგისო არაფერი გვაქვს. საქმე სულ იმაშია, რომ გვსურს ადგილობრივი სად. ბუფეტის ხაზაინ-მოსამსახურეების ცოტა შემათრახება.

პირველებისა იმიტომ, რომ მეორეებს ძლიერ ავიწროებენ და თანაც ავი კილო დასდევთ ლაპარაკში, ხოლო მეორეებისა იმისთვის, რომ თავისი შავი დღის ვერაფერი გაუგიათ.

გზა და გზა სად. ჩახმაზსა და დერბენტშიაც არის საჭირო ცოტა გაქნევა მათრახის კუდისა, რასაც იმედია არ დაიზარებ.

შენი **ფატაშვილი.**

**ნატანებიდან.** ძმაო! ერთი ღვთის გულისათვის სად. ნატანებში ჩამოირბინე. ჯერ კი დაიბარე ბ-ნი კაპიტონ ასათიანი. გაიხმე იქით, სადგურის უკან და გამოჰკითხე: 10 დეკემბერს რა ამბავი მოახდინე აქ თქვა. კაპიტონს იცოდე იარაღის ტარების უფლება აქვს. ის ალბათ არ დამალავს და გეტყვის როგორ დაუზილა ერთ მეეტლეს ცხვირ-პირი, როგორ გადმოაგდო ტალახში ეტლში ჩამჯდარი ქალი და შემდეგ ამისა ამოღებული რევოლვერით აიძულა მეეტლე, 60 კ. მარტო მათი კეთილ შობილება წაეყვანა ოზურგეთში.

თუ დამალოს რამე ერთი შენებურათ გადაჰკარი, მაგრამ იმედი მაქვს დამალვას ვერ გაბედავს. აგრეთვე უცხუნე თუ ძმობა გწამდეს იმ მეეტლეებს, რომლებიც ამ სცენას უყურებდენ და გულში იცინოდენ. უთხარი: დღეს თუ ერთს უქნეს ეს, ხვალ მეორეს უზამენ, ზეგ მესამეს და თქვენი ჯერიც მოაწევს თუ ასეთი ერთობა გექნება თქო.

**წიწმარიტი.**

**სამტრედიიდან** ამხ. ეშმაკო! ბევრს არ დაგაგვიანებთ, მხოლოდ გზათ გამოგვიარე.

ჩამოხტომისთანავე შედი ,,ბაგაჟნი'' კასაში და ვ. გ—ვას გაჰკარი ერთი, რადგან ჩვეულებათ გადაექცა ,,სამი აბაზი ობეზპეჩენიე''. თუ ხელად დაგირჩეს შენი ახალი წამალიც (,,კუდინი'') მიაღებიე $27^1/_2$ წვეთი.

ფოსტის მოხელეები მაინც არ დაგიჯერებენ, რომ სხვისი წერილის გახსნა ურიგო საქციელია და დროს ნულარ კარგავ მათთან ლაპარაკში. ისე კი გაჰკარი ორიოდე.

თუ ქეიფის გუნებაზე მოხვიდე სამკითხველო-სამიკიტნოში შეიარე. არც წინათ იყო ეს ორი დაწესებულება დაშორებული, მაგრამ ახლა ერთად აპირობენ მათ მოთავსებას.

სამიკიტნოს შემდეგ იქნებ წარმოდგენაზე მოგხალისებოდა დასწრება, მაგრამ აგერ რამდენი ხანია, რაც ბ-ნი კ. კ—ძე სადღაც მიიმალა და ჩვენ სცენას აღარ უნახავს თანამედროვე დრამები: ,,ორი მშიერი'', ,,ადამ და ევა'' და ,,ადვოკატი მელაძე''. მართლა, იქნებ, მოგზაურობის დროს გადაეყარო მას სადმე და თუ ძმა ხარ მოსცხე და გამოგვისტუმრე.

აქაური მუშები 1905 წლის დამლევს რომ დაწვენ ჯერაც სძინავთ და თუ ძმა ხარ ერთი ისინი გამოაღვიძე. მაღაზიის შესახებ ნება დართულ კრებაზე, სულ 20 ოდე კაცი გამოცხადდა 900 კაციდან.

ცნობილ ,,პოდრიადჩიკებს'' ჯიბლაძეს და კიკაბიძეს, როგორც ამბობენ კახიანმა და ნანეიშვილმა წააჭარბა ფასების დაკლებაში, რისაც ძლიერ მოხარულია ადგილობრივი საწყობის გამგე. იმედია ამათ მიაღებინებ შესაფერ პორციას ,,სპერმაკუდინისას'' და ერთ ორ მათრახის კუდსაც უთავაზებ.

ადგილობრივ აფთიაქსა და სამსჯავროსაც თუ ინახულებ შენს ,,სპერმაკუდინს'' იქაც გაგისაღებენ.

მართლა, ეშმაკო, იქნებ ისიც შეგვიტყო ვინ დასჭრა რევოლვერით ერთი მოხუცი მიმავალი მატარებლიდან. საჭირო კია გაიგებდე და ერთს ლაზათიანად მოსცხებდე.

„ლუკა" **ა. წვაია.**

**სვირიდან**. ბუნებისაგან კეკლუცად შემკული და მდიდარი სვირი ხუცების პოლიციის და ხულიგნების შემწეობით წარმოადგენს ნამდვილ ჯოჯოხეთს. მახსოვს ის მშვენიერი დრო, როდესაც ეხლანდელი ბნელი ძალები დამალულნი იყვნენ და თუ სოროდან გამოძვრებოდნენ თავს უკრავდენ თავისუფლების დროშას. ეხლა კი წელში გამართულნი, მშიერი მგლებივით დათარეშობენ და შურს იძიებენ. სხვამ არავინ გაუგონა სვირელებს და ეხლა ისევ შენ გეხვეწება:

ნუ დაგვივიწყებ, ეშმაკო,
ჩამოირბინე სვირშიო,
მათრახი წამოგვაშველე
ნუ ჩაგვყრი გასაჭირშიო.
ხუცები გადაგვერია:
მჭედლიძე და ჯუღელიო.
ყოჩაღს მაშინ დაგიძახებ
თუ მაგენს გაუძელიო.
შეუპოვრად გაჰკივიან:
ჩვენ ვართ თქვენი მამებიო,
უკლებლად წარმოგვიდგინეთ
გასულ წლების დრამებიო.
მკვდრებს ეგრე ვერ დაივიწყებთ
გადიხადეთ ბაჟებიო,
დროზედ თორემ დარაზმული
გვიდგას აგერ სტრაჟებიო.
ნუ დაზოგავ თუ ძმა იყო,
ნურც შარკიან წაქაძესო,
რაკი მამასახლისია,
ღამის თავზე დაგვაჯდესო.

**გზირი.**

**თფილისი.** ძმაო ეშმაკო! ამ კვირია თუ სადმე პროვინციაში არ აპირობ ერთი ჩვენი დედაქალაქის სასტუმრო-რესტორანტრაქტირები დაიარე და შენ იცი და შენმა მათრახმა. თორემ ჩვენმა მოსამსახურეებმა როგორც ადრე გაიღვიძეს ისევე ადრე დაიძინეს. (კანეჩნო ყველამ არა). ვისაც არ სძინავს, იმათი უმეტესობა ოფლით მონაგარ კაპეიკებს კარტ-ნარდ, ,,ბაქარ''-,,ვერტუშკაში'' აწარმოებს. გაახსენე, რომ თუ ვისმეს ,,ლიშნი'' გროშები აქვს, გაფიცულ ამხანაგებს აღმოუჩინონ შემწეობა; გაახსენე კონფერენციის, დადგენილება და აუხსენი მათრახის კუდით, რომ კონფერენციას არ დაუვალებია თქვენთვის მუდამ ჟამს კარტის თამაში-თქვა როცა მოსამსახურეებს მორჩე, მერე ცოტ-ცოტა ალებსაც უთავაზე, რადგან ბრძოლით მოპოებულ უფლებას, გვაცლიან ხელიდან.

ძმაო ეშმაკო „მათრახით"
აჩვენე შენი ძალაო,
თორემ კავშირის წევრები
„ვერტუშკას" დაეძალაო!

**ტ. მეგრელის-სკუა.**

**ს. ნოსირი.** ეშმაკო! გამარჯობა შენი! რა იქნებოდა შე დალოცვილო ერთხელ მაინც ჩვენი სოფლისაკენ ჩამოგერო? აქაც დიდი საჭიროა შენი მათრახის კუდი.

ახალი წლისთვის უსათუოდ ჩამოიტანე იცოდე. თუ მატარებლით წამოხვიდე. ნოსირის პლატფორმაზე ჩამოხტი. ჩამოსვლისათანავე შენებურათ გადაჰკარ მათრახის კუდი იმ სტრაჟნიკებს, რომლებიც მატარებლიდან ჩამოსულ ხალხს დაერევიან და დაუწყებენ ჯიბე-საგროშეების ჩხრეკას.

მარა, ამხანაგო, მათში ყველაზე მეტი პატივცემის ღირსი ჩიჩუა და კარტოზიაა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, გულნაკლულს ნურც ერთს ნუ დასტოვებ. კარგი იქნება აგრეთვე ცნობილ „ანტონას" გაუარდე და შენი მათრახის კუდით მიულოცავდე ახალ წელს. ეს „ანტონა" ცნობილია დაუბარებელი სიტყვების მიტან-მოტანით.

მარად შენია **პ. კუდიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხაშურიდან.** ძვირფასო ძმაო ეშმაკო! ხაშურიდან წერილი მიგილია და ჩამოსვლა კი არ ინებე, ვითომ ხაშურმა რა დაგიშავა? თუ ძმა ხარ სულ ნუ დაგვივიწყებ, რადგან შენი მათრახი აქ ძლიერ საჭიროა. აქაურ პირობებს მოკლედ გაგაცნობ, მაგრამ ფრთხილად...

ერიდე აქაურ სადგურის უფროსს, რადგან თუ არ მოეწონები, ბუნტოვჩიკათ მოგნათლავს და ვიატკას იხილავ.

ინახულე ზინგერის მაღაზიის ზედამხედველი ვარსიმოვი და მოსთხოვე ანგარიში, თუ რამდენი მოსამსახურეა აღნიშნულ მაღაზიიდან მისი წყალობით დათხოვნილი, შვიდი თუ მეტი? მაგრამ ფრთხილად, აქაური პოლიცია დიდათ წყალობს მას.

აქაური ვაჭრები ნოქრებს სთხოვენ დღე და ღამ 25 საათი იმუშაონ; წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნით ემუქრებიან და საჭიროა განუმარტო რომ **ნაკიანი** მხოლოდ წელიწადი შეიძლება და არა დღე-და ღამე.

თუ ღვინის სარდაფებთან ჩაიარ, „პარიარალეს" გაიგონებ, ეს ზოგიერთი დეპოს მუშები იქნებიან, რომლებიც 9 საათს მუშაობენ და დანარჩენ დროს სამიკიტნოებში ატარებენ. უმორჩილესად ვარ მთხოვნელი ყველა ამათ მაგიერ, რომ ნუ დაიშურებ მათთვის თითო მათრახის კუდს.

**რიჟა.**

**ს. მარტვილიდან.** მოწყალეო ხელმწიფევ ბ. ეშმაკო! დიდათ გმადლობთ, რომ ჩემი თხოვნა უყურადღებოთ არ დატოვეთ. მართალია დაგლალეთ აქეთ-იქით სიარულში, მაგრამ იმედია არ დაიზარებთ ჩვენთან მეორეთ მოსვლას, ეს მით უფრო საჭიროა, რომ ისინი, ვინც უვიზიტოთ დავსტოვეთ დიდ სამდურავს მიცხადებენ. შენმა მათრახმა ბევრი გააჯავრა, მაგრამ ბევრს მართალი ათქმევინა და უმეტესობას კი დიდი სიკეთე უყო. ყველანი ჩადგენ თავიანთ დონეში.

ახლა პირველად ხომ არესტას ნახავ, როგორც ჩინოვნიკს, ის სასამართლოს ბოქაულია. ნათქვამია ჩემო ეშმაკო, „ზოგი ქირი მარგებელიაო". არესტის ორი სამი წლის წინად ხალხის მოძრაობა ქირივით ეზარებოდა, მაგრამ ამ მოძრაობამ, რადგან მაშინ აქეთ ბოქაულათ წამოსვლა ვერავინ გაბედა, ხელში ჩაუგდო მას ეს თანამდებობა და მასთან მსუქანი თანამდებობაც. ეხლა კი ეს ჩვენი არესტო მის გამაბედნიერებელ მოძრაობას წყევლა-კრულვით იხსენიებს. არ დაგავიწყდეს, არესტოს ნახვისათანავე მიუსამძიმრე მისი სულით და გულით მეგობრის ბოქაულ დავითაიას აქედან გადაყვანა.

არესტოსთან არ დაიგვიანო, მამასახლისი ბეკოც ვნახოთ, მაგრამ ჩვენი ბედი, თუ ფხიზელი ვიპოვნეთ. კანცელარიაში ნუ ეძებთ ბეკოს, სჯობს ბაზრისაკენ წავიდეთ, სადმე სამიკიტნოებში იქნება. ბეკოს, იცი ჩემო ეშმაკო, ხომ გაგიგონია „ПОДВИЖНАЯ КАНЦЕЛЯРІЯ" აი ისა აქვს. საცა კი სამიკიტნოა, ღვინო და არაყი, მისი კანცელარიაც იქ არის. ფული ბეკოს ეჯავრება, სამაგიეროთ უყვარს ნოეს ვაზი და რუსის მაჭარი. მოდი, ჩემო ეშმაკო, ეხლა ერთი ბაზრისკენ გავისეირნოთ, მაგრამ ღამეა და უფრთხილდი თავი სადმე რომელიმე ბოძს არ მიახეთქო. სჯობია დღე გავიაროთ, მაგრამ „ვაის გავეყარე, უის შევეყარეო". დღე კი რა ხეირი დაგეყრება? შეიძლება სადმე წუმპე-ტალახში გადავარდე, შიგ ჩაიფლები შენც და შენი მათრახიც სისუფთავე მაღაზიებში კი საუცხოვოა. ხოლერის წინააღმდეგ საშუალებათ თითო ყუთი ნაგავით სავსე უდგათ მაღაზიების წინ. ბაზრის მამები კი თავს იმტვრევენ, მაგრამ რა ქნან, რომელსაც არც არაფერი იციან და არც სხვისას იჯერებენ.

პური და ჩითეულობა აქაურმა ვაჭრებმა ერთი სამათ გააძვირეს, რადგან გაუგონიათ თფილისის მეპურეებმა პური გააძვირესო, ქუთაისისამ კი ზაბასტოვკა დააპირაო. აქ კი მეპურეების ზაბასტოვკა ვერ იხეირებს ჩემო ეშმაკო, რადგან ღომი და ჭადი იპურებს, თუ პური ვერ ვიშოვნეთ.

სამღვდელოების ნახვა, შენ ბევრათ არ გეპიტნავება. აქაურ და საზოგადოთ ჩვენ მაზრის სამღვდელოებას ძლიერი იერიში მიაქვს გლეხებზე. პოზიციათ დრამის ფულია დანიშნული და მგონია მღვდლებმა დაიჭირონ ეს პოზიცია. მთავარ სარდლებათ დამსახურებულნი ქურუმთა უხუცესები არიან.

ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ შენთან ჩემო ეშმაკო და იმედია არც იმას დამამადლი მინდა ს. ამაღლდაში წაგიყვანო, ვეწვიოთ მღ. გ შავდიას, მაგრამ ეხლა დიდი თოვლია, გზა შეკრულია და ვერ წავალთ. მოდი ერთი შენი მათრახი აქედან გაიქნიე ისე გრძლათ, რომ იქ მოახვედრო. მის შესახებ ისეთს ვერაფერს იზამ შენი მათრახით რომ ზედმეტი დარჩეს იმდენათ დამსახურებულია.

ისევ შენი **„უჩინმაჩინი"**.

**საჩინოდან** ეშმაკო! უმორჩილესად გთხოვ დაუყონებლივ გამოგვიგზავნო შენი „კუდინის" 154 წვეთი. რომ იცოდე რა უბედურება გვეწვია. ჩვენი მამასახლისი აღარ გვყავს, მოგვტაცეს. შესანიშნავი მოხერხებული ვინმე იყო. „გამოსარჩენის" თეორია ზედ-მიწევნით ჰქონდა შესწავლილი პრაქტიკაზე.

დაგიჭერდა, გაგიშობდა
ჯიბის „ქუჭყსაც" გაგიქრობდა.

ერთი არ ეხერხებოდა ჩვენ ნეტარხსენებულს, სახელდობრ „გამოსარჩენის" განაწილება და ჩვენი ბოქაული მის ასეთ უზნეო საქციელს როგორ შეურიგდებოდა? „ერთობა" ძმაო ეშმაკო, ახლა იმათშია და ვინც მას დაარღვევს სასჯელსაც უნდა მოელოდეს.

ბოქაულიც ერთობ გამოცდილია „გამოსარჩენის" საკითხში და რაკი მამასახლისმა „ერთობის" საფუძველი დაარღვია უფროსთა წინაშე, ისიც განრისხდა და მოგვტაცა ჩვენი თვალის სინათლე. აი ამაზე ითქმის „აქლემები წაიჩხუბნენ, კოზაკი შუაზე გაჭყლიტესო". აქ გამოსარჩენი ვერ გაინაწილეს და ხალხზე იყარეს ჯავრი.

აი ამიტომ ხელმეორეთ გთხოვ რაც შეიძლება მალე გამოაგზავნო 58 წვეთი „სპერმაკუდინი" ბოქაულისათვის, 58 მამასახლისისათვის და 38 ბ-ნი პ. ს-ძისათვის, რომელიც მარჯვენა ხელია ჩვენი სტარშინასი თუ არ დაიზარებ და მათრახის კუდსაც მოაყოლებ, ეს ხომ მთლათ გაკეთება იქნება ჩვენი საზოგადოებისა.

შენი **საჩინოელი.**

**ცხინვალიდან.** ბ-ნო ეშმაკო! კარგი, იმ ჩინოვნიკს შენ არაფერი არ უთხარი აქ ყოფნის დროს, მაგრამ მი—ლა მაჩაბელი მაინც გენახა. ეს ნამდვილი მამაა გლეხებისა. 21 გირვანქიან ჩანახის მაგივრათ ლალის ასაკრეფათ 34 გირვანქიანი შემოიღო. ბოლოს ისე გაიზარდა მისი სიბრალული, რომ ლალის მაგივრათ დღიურზე ექვსი მანეთი და ხუთი უზალთუნი მოითხოვა.

გარდა ამისა ის მამაშვილურად ურჩევს თავისს ხიზან გლეხებს: მომშორდით ამ მწირი ადგილებიდან და უფრო ნოყიერი მამულები მონახეთ სადმეო. ეს გლეხები თურმე აგერ 40 წელიწადია ამ მიწაზე ცხოვრობენ. ადმინისტრაციაც მხარს უჭერს ბ-ნი მაჩაბლის დარიგებას.

სოფ. ავლევიც ინახულე თუ არ დაგეზაროს და უთხარი იქაურ მოძღვარს, რომ რა ამბავია შე კურთხეულო, როცა შეთვრები მაშინვე სქესობრივი საკითხი გაგახსენდებათქო. ერთხელ ხომ კინაღამ თავი გაგიტეხეს ყარაულებმა და აწი ვარესსაც მოელოდეთქვა.

ორივეს უთავაზე თითო-ოროლა მათრახის კუდი.

ჯოჯოხეთის **მუგუზალი.**

**ბარეული** (რაჭა). პირდაპირ შეწუხებას ვერ შემოგკადრებ საყვარელო ეშმაკო მარა ისე კი, როცა აქეთ ამორება მოგიხდება კარგს ინებებ შენი მათრახის კუდი სტრიფონ მასხარაშვილს და მის ამქრებს გააწნა. — ამით იქნებ დაჭკვიანდენ თორემ ამას წინეთ რაინდულათ შეცვივდენ ნიქელა დვალის სახლში და როცა შეშინებული ქალები ტყისაკენ გაიქცენ რაინდებმა ჭურები მოხადეს და ლაზათიანათ გაილეშენ. ეს ყმაწვილები ხანდახან უფულობის დროს მსხვილფეხა საქონელს დაიჭერენ მინდორში და პატრონს გროშებს თხოვენ: ჩვენ ადგილში იყო და გვერგებაო.

ვერ **მიცანი.**

**ალპანა** (ლეჩხუმი). დეილოცა შენი მათრახი ეშმაკო, რადგან ლაზათიანათ იქნევ ჩვენში. ყველაის პატივცემელი ერთი მეც დამეხმარე და ჩვენ ღვდელს გაბრიელს გადაუხურე შენებურათ. დრამის

ფულზე ერთობ ხელმოჭერილი შეიქნა და „ორ დღეს მეიცადე მამაშვილობასთქვა", რომ უთხრა საკმარისია, ისე გაგახურონ, როგორც „ბუნტოჩიკს" ეკადრება.

ა.-ჯან.



## ლ ი ლ ი ნ ი

ჩონგური აღარ დამიკრავს
ეს ერთი წელიწადია
დღეს შობა დიდა გათენდა,
ლილინიც ახლა მშადია.
მინდა სიმები შევაწყო
სევდა ვაშორო გულსა,
ათასჯერათ ვაკრიკანტულებ
მე გურულ კრიმანწულსათ.
ხან ლექსებს დავადიდინებ
დაბალ ხმით,—საჩონგუროსაც
ვისაც ემწყავოს, იხტუნოს,
შეხტეს და იფხაკუროს.

### ოზურგელებს.

ჯერე არსად გაგონილა
სასრაკო ეს ამბავი
ოზურგელებს დაეძრახოს
ცუდი რამე; საძრახავი
ნახევარი გამცემია
და სხვა მისი შემნახავი
არ მიიღოთ განაგონათ,
თვითონ ვნახე, იქ ვიყავი.
ოზურგეთის მოვაჭრენო,
სმენათ ყური წამოყავი.
თქვენი ქება და დიდება
კარგი არის ის, თუ ავი
თანასწორათ მოისმინე,
თანასწორათ გაიყავი:
ერთნაირათ გაატყავეთ
მყიდველი თუ გამყიდავი.
ჩითი ნარმა და შიტკალი
მეწვრილმანის ნაზიდავი
გუნდა, დიდა დახოსტაკი,
ქალმანა და ქინძისთავი,
კალა, ჩიბუხი, შაბაქი,
ენდრო-წითლათ საღებავი,
დანამასტაკი, დეგოხტი,
კოვზი-სუფის სასხმიბავი,
სათითური, ნემსი, კვესი,
საშიტინათ-დასაკრავი,
ანთუფლბაში და ტაშლიში,
ვითომ, ხველის მოსაკლავი,
მძივი, ფოლაქები, დოგმა,
თევზის დასაჭერი კავი,
ბამბის გასაშენტი ლარი,
ტყურისა და მაჩვის ტყავი,
ჩოთქა, ვაქსი-და ლურსმანი,
—ჩექმის ქუსლზე დასაკრავი,
მუდარაკი, კოჭის ძაფი—
თეთრი, წითელი და შავი
არდაშხანა და სანდალა,
კემსი, თაგვის საწამლავი,
ცომი პური, ძველი ხარშო—
ერთი კვირის ნახარშავი,
ყალბი სასწორი,—ყანთარი,
ყალბი სიმინდის საწყავი
ნაპარევი უღლის ხარი,
ან ჭირიანი საკლავი,—
არც ერთი არ მოგვაკლდება
თუ კარგათ გვყავს თქვენი თავი
და აგვაძრე სანამ გვქონდეს
კიდევ შერჩენილი ტყავი.

ბლიკვაძე.



სახელმწიფო სათათბირო.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(ლიკლიკაძის სააგენტო).

**სუფსა.** გურიის მთავრის შვილმა ტელემაკ დავითისძე გურიელმა შუამდგომლობა აღძრა ლანჩხუთის ბოქაულ მიქიევის წინაშე გამოეყოს სოფ. უნაგერა (იგივე სუფსა) ჩოჩხათის საზოგადოებას, დაარსდეს სუფსის სამამასახლისო და მამასახლისობა უწყალობონ თვით ტელემაკს. მიქიევი თანაგრძნობით შეხვდა შუამდგომლობას და აღუთქვა ,,ბატონიშვილს" ჯაჭვი.

**თფილისი.** ვექილმა გვაზავამ უარი განაცხადა ბოქაულ მიქიაშვილის დაცვაზე (უფლების გადაჭარბება, ლანძღვა-გინება, ცემა-ტყება).

**სოხუმი.** ნიკო ჯერ არ დაბრუნებულა. ქალაქი უთავოთ არის. როგორც ამბობენ მოვა პირდაპირ ნოვორასიიდან რკინის გზით.

**ფოთი** (იგივე ნიკობურგი). ქალაქის აფთექა სამი თვეა რაც ,,უპრავამ" ჩაიბარა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სამად-სამი მაგალითი იყო ადამიანის მოწამვლის.

## „ეშმაკის მათრახის" ფოსტა.

**ოზურგეთი** „ნორდკინს" გთხოვთ გვაცნობოთ რა მოსაზრებით იხმარეთ „ასკანელი ხუცის" გამოცანაში უკანასკნელი ორი პწკარი? თუ გაქვთ ამის საბუთი?

რედ.

**ჩვენს კორესპოდენტებს.** რამდენჯერ გამოვაცხადეთ, რომ ადგილის სივიწროვის გამო ვერ ვათავსებთ ყველა ცნობებს და წერილები მოსწურეთ მეთქი, მაგრამ ახლა რიცხვთან ერთად სივრცემაც იმატა. მოსწურეთ ამხანაგებო, მოსწურეთ წერილები. ახალი წლიდან 16 გვერდის გამოცემას ვაპირებთ, მაგრამ წერილების შემოკლება მაინც აუცილებელი იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

მიიღება ხელის მოწერა
1908 წლისათვის
ყოველ-კვირეულ, იუმორისტულ, კარიკატურებიან ჟურნალ
„ეშმაკის მათრახ"-ზე
პირველი იანვრიდან „ეშმაკის მათრახი" თექვსმეტ გვერდათ გამოვა.
ჟურნალი ღირს ერთი წლით—5 მანეთი
ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.
ვინც 1908 წლისათვის გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს გამოუგზავნის რედაქციას, ამ წლის „ეშმაკის მათრახი" 1-ლი ნომრიდან უფასოთ გაეგზავნება.
რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე „შუამავლის" და „შურდულის" ყველა ნომრები, რომელიც გაეგზავნება მსურველს თითო შაურათ.
ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:
Тифлисъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матраки", Михайловская 65.